ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4403893

ნომერი: AR1664787

თარიღი : 05.03.2019

გაცემის თარიღი : 06.03.2019

გაცნობის თარიღი : 08.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , ქუჩა გობრონიძე , ნაკვეთი 03/129;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05

მარტს NAR1664787 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, დასახლება მუხიანი, ქუჩა გობრონიძე, ნაკვეთი 03/129, მოქ. ზაზა მინდიაშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.129), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 26 მარტიდან 2019 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ზაზა მინდიაშვილი (პ/ნ: 01002017585).
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, საცხოვრებელი ფართობი 1205.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1162.3 კვ.მ. კომერციული ფართობი: 75.4 კვ.მ-ის ნაცვლად 76.4 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 55.34 კვ.მ-ის ნაცვლად 54.7 კვ.მ. სარდაფის ფართობი 213.95 კვ.მ-ის ნაცვლად 214.0 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 123.73 კვ.მ-ის ნაცვლად 123.7 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 1673.52 კვ.მ-ის ნაცვლად - 1631.1 კვ.მ. განმცხადებლის მიერ, ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
ასევე, წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია დამკვეთის ცვლილება, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო. კერძოდ, მოთხოვნილია ზაზა მინდიაშვილის (პ/ნ: 01002017585) ნაცვლად შპს „დიდი დიღომი“-ის (405132663) დაფიქსირება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N892018770191, მომზადების თარიღი: 04/09/2018 17:03:25) მიხედვით, N01.11.17.003.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „დიდი დიღომი“ (405132663) . მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადების რეგისტრაცია - B16173161, მომზადების თარიღი: 21/12/2016 11:09:18) შპს „დიდი დიღომი“-ს (405132663) დირექტორია დათო ყიფშიძე (პ/ნ: 54001019293). სამსახურში წარმოდგენილია დათო ყიფშიძის მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული განმცხადებლისთვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 190232425, რეგისტრაციის თარიღი: 04.03.2019).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „დიდი დიღომი“-ს (405132663) საკუთრებას, რომლის წარმომადგენელიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „დიდი დიღომი“-ს (405132663), ფიზიკური პირი: დათო ყიფშიძე (პ/ნ: 54001019293) დაფიქსირებას. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 1162.3 კვ.მ. კომერციული ფართობი: 76.4 კვ.მ. საზაფხულო

ფართობი: 54.7 კვ.მ. სარდაფის ფართობი: 214.0 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 123.7 კვ.მ. საერთო ფართობი: 1631.1 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებით შეთანხმებული -2.45, ±0.00, +3.30 და +6.60 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებაში დამკვეთად, ზაზა მინდიაშვილის (პ/ნ: 01002017585) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „დიდი დიღომი“ (405132663), ფიზიკური პირი: დათო ყიფშიძე (პ/ნ: 54001019293).

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 მარტის №3883376 ბრძანებასთან ერთად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.